კვირა 9 სექტემბერი 1928 წ. № 169 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს



— „მსუბუქი არტილერია"-ო, გაიძახიან და დიდრონ საბარგო ავტომობილებით კი შეაწრიალეს მთელი ქალაქი.

— რას ამბობ? რის „მსუბუქი"!.. რაც „დედამიწის დამამძიმებლები"—სწორედ ესენი არიან, აი!..

# ჭრიჭინების სეზონი ანუ „ფაქტი“ და „პაქტი“

„ყველა გზას რომში მივყევართო“—იტყოდენ ძველად...

ახლა კი არც ერთი პატიოსანი, ცოტად თუ ბევრად ზრდილობიანი კაცი ცხვირსაც არ იზამს რომისაკენ. იქიდან კი მხოლოთ ფაშისტური გზები მოემართებიან ყოველი მხრით და ისიც მხოლოთ ვარშავამდე.

ასეა სეზონისა და მოდის საქმეც.

ყველა მოდა პარიზიდან მოდის და, მაშასადამე, ყველ „სეზონს“ პარიზში მივყევართ. სეზონი და პარიზი ისე არიან გადაბმული ერთმანეთს, როგორც ომი და პუანკარე ანუ კიდევ — პილსუდსკი და ვილნო, გინდ — ჩემბერლენი და „ერთა ლიგა“.

მეტყვიან: ეს ხომ მხოლოდ შლიაპას შეეხება“-ო; შლიაპა დიახ, შლიაპა გახლავთ ყველაფრის გვირგვინი! თუ ადამიანი ბუნების და ცხოვრების გვირგვინია, შლიაპაც და საერთოდ თავსარქველი ადამიანის გვირგვინი გახლავთ.

ეს უდაოა.

ამიტომაც არის რომ ყველა „სეზონს“ ბოლოს და ბოლოს მართლაც პარიზში მივყევართ. უფრო სწორი იქნებოდა, რომ გვეთქვა: „პარიზისაკენ“, რადგან დანარჩენი ქალაქები, როგორიცაა: ჟენევა, ვერსალი თუ სხვა ისეა „მიკრობ“-ილი პარიზე, როგორც სოკო—დამპალ ხეზე.

სეზონი არც ჩვენთვის არის უცნობი ხილი. ამჟამად მაგალითად, ჩვენში თავდება აგარაკების სეზონი. ზაფხულის განმავლობაში ქარხნებისა თუ დაწესებულებათა დროებით შეთხელებული შტატები ისევ ივსება. წარმოება ძლიერდება. მუშაობა ყაირათიანდება. დროებით მითვლემილ-მიბნედილი ენერგია ყველაფერში ისევ ცხოველდება, მძაფრდება და ფხიანდება. ჰაერში მტვერი და მური კლებულობს. ცოტათი ობი და მჭვარტლი კი უმატებს ჭირვეულობას, აგერ შემოდგომის ბოლოდან, მაგრამ ეს არაფერი. სამაგიეროდ, აბლაბუდების ხანაც მალე გაივლის ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ,—ის უკვე გავლილია სახლებისა და ბინებისათვის მაინც. ახლა ობობა უფრო გარეთ, მზის ყურზე აბამს თავის ვერცხლის ფერ ქსელს, თითქოს უნდა ის შეახარბოს შორიდან ცის ლურჯ იალალზე ნებივრად, გაწოლილ ცეცხლოვან ოქროს ვერძსაო. უნდა კიდევ ობობას, რომ სადმე შემოგვიანებული ბუზი თუ რომელიმე სხვა ალქატი მწერი მარცხად მაინც აცდუნოს და შეიტყუოს თავისი ხაფანგის „გავლენის სფეროში“, თორემ, ხუმრობა საქმე როდია შემდეგ გაზაფხულამდის მარხულობა!..

და ობობაც ოსტატურად აბამს სუფთა ჰაერზე, ლობე-ყორეებსა, ხის ტოტებსა თუ ჩალა-ლერწამთა შორის თავის ელვარე ძაფებს!...

შორიდან მაყურებელ მწერებს ხიბლავს ხოლმე ეს ძაფების ელვარება და იტაცებს მათ თავისკენ.

საკვირველია, რომ ობობებსაც აქვთ ხოლმე თავიანთი სეზონები: „საშინაო“ და „საგარეო“.

მაგრამ რაღა ობობების ქცევა გავიკვირვოთ? მწერთა შორის ობობა თითქმის ყველაზე უფრო გრძნეული, ანგარიშიანი, შედარებით ცოტა ხარჯით თავის გამტანი არსია.

აი, ჭრიჭინები!..

ამათზე უფრო სულელი, ცეტი და თავფქვილა ხალხი, მგონი, ესპანიაშიც კი ძნელი აღმოსაჩენია არა თუ იტალიის ზოგ კუნჭულებში ან კიდევ — პარიზის სალონებსა თუ შანტანებში.

მიუხედავათ ამისა, ჭრიჭინებსაც აქვთ ხოლმე თავიანთი სეზონი.

აი, ხვნა-თესვა, რომ არის გახურებული, ან კიდევ ყვავილების ცვევნა და ნაყოფთა დასხმა, მაშინ ჭრიჭინები სდუმან.

რატომ?

ისინი ხომ ყველას სულელ, ცეტ და უთაო ხალხთა მიაჩნია?!... მე კი ასე მგონია, რომ ჭრიჭინები ძალიან ჭკვანები არიან. ხვნა-თესვის დროს რომ ახმაურდენ, ვაი თუ რომელიმე უხარო გლეხმა უცბათ ხელი მიავლომოავლოს და ყველას ულლებში უკრას თავები!.. მიდი მერე და ასეთ გლეხს უმტკიცე, რომ შენ ჭრიჭინა ხარ და არა ხარი, და, რომ შენი საქმეა: მინდვრად ხტუნაობა, ხოლო ხის ტოტებზე ჭ„რიჭინი“ და არა ხვნა-თესვა!..

ზაფხულში, განსაკუთრებით ზაფხულის მიწურულში, როცა ბაღსა თუ ტყეში, ნახნავსა თუ ნაბარავში, მინდვრათ თუ ეზოებში ყველაფერი ზაფხულის პირში დასხმულ ნაყოფებს მოყვითალოდ თუ მოწითლოდ ილებავს ხოლმე და იმდიდრ - იმწიფებს, უღელში შებმის შიში უკვე თავიდან აშორებულია და ჭრიჭინებს, ასე ვსთქვათ, თვალები ებრიცებათ ბუნების ამ უხვების კალთის ბერტყაზე და ისინიც მოჰყვებიან დაუსრულებელ „მრავალჟამიერს“. ზის თავისთვის მაღალი ხის გრძელი ტოტის თითქმის ზე კაკალ წვერზე, რომელიმე კანჭებდაგძელებული, ფუქსავატი ჭრიჭინობელა, გადაჰყურებს ირგვლივ ხეებსა, ბუჩქებსა თუ ჭირნახულზე დავსილდალუვებულ ნაყოფთ, ყველაფერი ეს თავისი ჰგონია და ჰყივის, „ამწიფებს“ სხვისი ხელებით მოვლილ-მოყვანილ ნაყოფს!... „ისეთი გაბმული ჟრიამული აქვს ატეხილი, რომ მასთან შედარებით ანდრია სალოსის დუმილს ჰგავს ადრინდელ ქუთათურ თავად-აზნაურთა კუდაბზიკა შვილების მაჭრის შემოსვლაზე აყოლებული დაბწნილი „ჰარალალ-ვარალალო“!..

ჭრიჭინას წარმოდგენის თანახმად, ირგვლივ იმ ჟამად დამკვიდრებულ მდგომარეობის მიმხედვარეს, მე რომ ადამიანი ვარ, გონიერი არსება და ბუნების მეფე „მეც კი გამიხიცინებდა ხოლმე ძვალ-რბილში გემრიელ „ვარალალოს“ გემრიელი მოთხოვნილება და, ალბათ, მეც ავტყდებოდი. რომ..

მაგრამ დაილოცოს საბჭოთა სამართალი, რომ ასეთი ატეხისათვის ჩვენში დღეს ყველა გატეხილია, და მისგან თითქმის სავსებით დაზღვეული

საბჭოთა ფარგლების გარეშე კი ჯერ კიდევ შოიპოვებიან სხვადასხვა ჯურის „ჭრიჭინები“, ასე ვსთქვათ, სეზონის ხალხი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ისინი ჩნდებიან დრო და დრო. ატყდებიან ამა თუ იმ სახითა და ფორმით, თითქოს სხედან მაღალი ხის უგრძესი ტოტის უკიდურეს წვერზე, ამაყად გადაჰყურებენ ცხოვრების ბაღებსა თუ ბაღჩებში, სხვების მიერ მოვლილ-მოყვანილ და უკვე მომწიფებულ ფაქტებს. სწერენ თავიანთ ოსტატურ „პაქტებს“ და უსირცხვილოდ აბამენ თავიანთ დაუსრულებელ „ჭრი-ჭრი“-ს, უვნებელს გარეგნულად, რომ შიგნით ყოვლად ბილწი ზრახვები არ ედოთ სარჩულად!..

ერთია მხოლოთ მათ ხვედრში ყოვლად არა სახარბიელო; და თანაც გარდუვალი. გაიხედავ, და უცბათ ზედ ცხვირ წინ წამოიჭიმებათ ზამთრის მზრობი და მზარავი სუსხი. (სუსხი სხვათა შორის ხშირად „გაზაფხულის“ დასაწყისსაც სჩვევია ხოლმე და ზოგი „ჭრიჭინებისათვის“ ძალიან საშიშ-საბედისწერო სუსხიც!...)

და ისევე მოულოდნელად, როგორც მოულოდნელი იყო მათი „ხმაურის ასპარეზზე“ გამოჩენა, ჰქრებიან ეს უბადრუკი „ჭრიჭინები“ და მათი „სასეზონო“ თეთრი სიზმრები, ეს მათი შავი სინდისის თეთრი ყვავილები თეთრად ეგებიან ფეხებ ქვეშ თეთრი ზამთრის თეთრსა და სუსხიანს, სინამდვილეს, რომელსაც ეწოდება აუცილებლობის ულმობელი გარდუვალობა!...

ონისიმე.

## მაგიური გავლენა




— რას გაჩუმდი?.. განაგრძე!... ვერა ხდავ, რომ ბავშვს სიამოვნებს?-..

— ეყოფა... უკვე დაიძინა!..

## ჩვენი „უფო“-ს ავან-ჩავანი

ქამანჩავ ჩემო, ამღერდი,
პატდვერდიტე საქმის არსი,
მკითხველებს პაზნაკომიტე
ჩვენი „უფო“-ს შინაარსი.
ამ „უფო“-ში ბევრი არის
ცალკე განყოფილებები.
შენ უმღერე, სადაც არის
ტოლკო მესტნი ფინანსები!
ზნაეშ ამ განყოფილებას
გამგეთა ჰყავს დინჯი ბიჭი,
საამისო საქმისათვის
თავს გადადის მეტი ნიჭი.
ეტო ჩელოვეკ ლადონ,
პროტექციით მოფრენილი,
ზნაჩიტ, ტაგდა ჩვენ კავშირებს
როტ ჰქონიათ დაფჩენილი!
სკაჟემ ეტო „არა“-ს ნიშნავს
ზესტაფონში არა ჩვეულს,
მიტომ, რომ ზდეს ამისთანებს
ბევრგან ვნახავთ ფაქტად წყეულს!
ტეპერ ვკითხოთ დამღერებით
ლადო ჩელოვეკ გამგესა;
— რათ უხსნის გადასახადზე
საურავს კულაკ ვაჭრებსა?!..
მი ნე ზნაემ, თუ ის ფიქრობს
„უფო“ პრინადლეჟიტ ვაჭრებს,
ვოტ ტაკ ეტო! — მაგუ სდელატ
მთელათ იმ ვაჭრების კადრებს!
ტეპერ ვსე ნაროდ უჟ ზნაეტ
კვიცი, რომ გვარზე ხტება.
ვაჭრის შვილს, ვაჭრის საქმისათვის
ალბად, ასე უხდება.
ზდეს ასტანოვკა ქამანჩავ,
ბუდ ონ ტარტაროზს უყუროს,
პასმოტრიმ: ასეთ საქმისთვის
კაკ სილნო დააპანღუროს!..

ფარჩა.

# მეტროჭიკი

(დასასრული, იხ. „ტარტაროზი“, № 168)

### გამოსვლა 8

#### იგინივე და ლექსო

**ლექსო**—ბიჭო, ეს არის თქვენი კოოპერაცია?

**გამგე**—რაშია საქმე, ამხანაგ?

**ლექსო**—**(ხელს ჩაუქნევს)**, დამაცა ერთი თუ ღმერთი გწამს, მე შენთვის არა მცალიან!

**გამგე**— მე მითხარი, რაშია საქმე?

**ლექსო** —ბიჭო, შე ჩემანალავ, შენ ღვდელი ხომ არა ხარ, რომ აღსარება გითხრა! **(1 და 2 ნოქრებს)** არა, ეს რა არის, ესა!

**გამგე**— **(ლექსოს)** ამხანაგო!..

**ლექსო**—**(გაჯავრებული)** დამაცა, კაცო! შენ რაღას ჩამაცივდი, რა ვქნა! **(1 და 2 ნოქრებს)** არა, შე ჩემანალავ, გაგონილა ასეთი ოინები! მე ათი მეტრო გითხარი და შენ შვიდი მოიჭერი!

**1, 2 ნოქ.**—როგორ თუ შვიდი!

**ლექსო**— როგორ და ეგრე. არა, ეს სადაური კომპერატია!! ამდენსა ჩვენი სოფლის ვაჭარიც არა გვპარავდა.

**გამგე**— **(ლექსოს)** ამხანაგო...

**ლექსო**— კაცო, შენ რაღა ძველი ხურჯინივით ჩამომეკიდე, რა ვქნა!..

**გამგე**— ამხანაგო, მე გაგმე ვარ ამ დაწესებულების და მე ნუდა ვიცოდე, რაშია საქმე.

**ლექსო**— გამგე ხარ?! მერე და ერთი მეტრო ვერ უყიდე, რომ ზეპირათ აზომინებ და საწყალ ხალხს გვატყუილებ!

**გამგე**—ამხანაგო! დღეს რეჟიმ ეკანომია არის და ზედმეტი ხარჯების გაღება არ შემიძლიან. ჩვენ, რაც შეიძლება ცოტა უნდა დავხარჯოთ და ბევრი მოვიგოთ.

**ლექსო**—რატომ არ მაიგებ, შვილოსან, რა! ათ მეტროში თუ შვიდი ვაძლიე, მე კი ვერ მოვიგებ აი!

**გამგე**— როგორ, ათი მეტროს მაგივრათ შვიდი მოგიჭრეს?

**ლექსო**— რა ვქნა, რა ძალიან იტკიცე! რო გელაპარაკები, გაიგე რაღა!

**გამგე**—**(1 და 2 ნოქრებს**, დღეიდანვე ეძიეთ ადგილები. ორი კვირის შემდეგ თქვენ აქ ადგილი აღარ გექნებათ.

**1 ნოქ.**—რატომ?

**2 ნოქ.**—რა დაგვიშავებია!

**გამგე**— რა დაგვიშავებიაო!! რა არის ეს ამდენი საჩივრები?

**2 ნოქ.**—შეუძლებელია ზეპირათ გაზომა, უმეტროთ.

**გამგე**— თუ კი გიგო ზომავს და არავინ ემდურება, თქვენ რა ღმერთი გიწყრებათ! **(გიგოს)** შენ ასე მარჯვეთ

# კრიზისი დრამატურგიაში



— დრამის თეატრში მომხდარ კრიზისის დასაძლევათ მე მიმიწვიეს. გაზეთებშიაც კი დასწერეს, რომ პირველ სექტემბრიდან ახალი პიესა უნდა ჩამებარებინა თეატრისთვის. მხოლოთ ამ ოჯახ აშენებულებს ის კი აღარ უკითხავთ, თუ ჩემი მუზის სეზონი როდის იწყება..

მიხედე მუშტრებს და ერთი კატეგორიით წინ წავწევ.

**გიგო**—არხეინათა ბრძანდებოდე, მე ზომაში არ მოვტყუვდები.

**გამგე—(1 და 2 ნოქრებს)** [illegible] როგორც გითხარით, ადგილები მონახეთ. **(გადის)**

**ყველანი—(მიაყვირებენ)** სად მიხვალ, სადა!

**რუსტამი**—არდა გედირსან, ეე! **(გამგე მიიმალება).**

**2 ნოქ.—(პირველი ნოქარს გიგოზე)** ნუ თუ იმ გლახის ქირმა უნდა გვაჯობოს!

**1 ნოქ.—(მეორეს)** აქ რაღაცა ეშმაკობაა. **(ამ დროს გიგო ფართლით ხელში შიდის ფარდა დახურულ ოთახში ფართლის გასაჭრელათ).**

**2 ნოქ.—(პირველს)** რატომ დაძვრება ყოველთვის იმ ოთახში! **(ხელით აჩვენებს იმ ოთახზე, სადაც გიგო შევიდა)** მეტრო ხომ არა აქვს იქ დამალული მაგ ლორჯოს!

**1 ნოქ.**— უნდა გევიგოთ, რაშია საქმე! **(მიდიან ორივე ნოქრები ფარდა ჩამოფარებულ ოთახისაკენ დასაზვერავად).**

**ქველანი—(აყვირდებიან)** მოგვეცით ჩვენი დანაკლისი, მოგვეცით! **(ნოქრები მიჩერებულნი არიან იმ ოთახისკენ. მუშტრები მიზლვავებულია და ყველას ყურადღება იმ ოთახისკენაა მიპყრობილი).**

### გამოსვლა 9

**იგინივე, მიკიჩა, ბარბალე და ხუცესი**

**მიკიჩა—(შემოდის და კარებში გაჩერდება)** ვა! ეს ინჩხაბარა! ეს რა მიტინგი გაგიმართავთ? სად არიან, სად, ის პატიოსანი პრიკაშჩიკები? განა, ასეთი მოტყუილებაც შეიძლება?

**ბარბალე—(შემოვარდება ფინთიხივით და მივარდება კარებში მდგომ მიკიჩას)** შენ რაღა კარებში გაჩხირულხარ, შე მაიმუნო, შენა!

**მიკიჩა**—ვაა, რა გინდა დედაკაცო, რას გადამეკიდე?! ესუ ჩემი დატაკება ფოდრათათა გაქვს აღებული, თუ რა ამბავია!

**ბარბალე**—ხმა გაიქრე მეთქი!

**მიკიჩა**—ვა, ეე, შენ ჩემი პირის პროპკა ხომ არა ხარ, რომ პირში მერჭობი!

**ბარბალე—(მივარდება, მიყრის-მოყრის ხალხს აქეთიქით და ეცემა ნოქრებს).** რა არის ეს, რა? ზომაში მპარავთ? **(ამ დროს შემოდის ხუცესი).**

**1 ნოქ.**—მეტრო არა გვაქვს და რა ვქნათ!

**ბარბალე**—თუ კი გიგო ზომავს სწორეთ, თქვენ რა დაგემართათ!

**2 ნოქ.**— ის, ალბათ, ეშმაკობს რაღაცას.

**ბარბალე**— ტყუილია, ტყუილი!

**1 ნოქ.** ა, ბატონო, ვნახოთ, აგერ იმ ოთახში შეაქვს ყოველთვის ფართალი და იქა სჭრის. ეხლაც იქ შევიდა და ვნახოთ, რაშია საქმე.

**ყველანი—(ყვირიან მიზლვავებულნი)**, ტყუილია, ტყუილი!.. მოგვეცი ჩვენი დანაკლისი... **(ამ საერთო ჩოჩქოლის დროს ნოქრები მივლენ ფარდა დახურულ ოთახთან ყველანი მიაცვივდებიან. ნოქრები უცებ გადახდიან ფარდას და გამოჩნდება ნოქარი გიგო, რომელიც ფართალს ქიპითა ზომავს. ესე იგი: ფართალს ფეხს აჭერს და ქიპამდის აზომავს. რამდენი მეტრიც უნდა მოუჭრას, იმდენჯერ იზომავს ქიპზე. ყველანი განცვიფრებულნი დარჩებიან ამ სანახაობით.** (ეს რა ამბავია?!!.

**მიკიჩა**— ვა, ვა, ვა, ვა! ეს ინჩა-ტო!..

**ლექსო**—რას შვრება ეს ჩემანალა, ესა?!

**გიგო**—რას ვშვრბეი და ვზომავ!..

**ყველანი**— რითი ზომავს, რითი?

**გიგო—(იცინის)** ხი, ხი, ხი,ხი! რითი და ქიპითა! ყველანი **—იცინიან)** როგორ თუ ქიპითა?!!

**გგო**—მეტრო არ იყიდა გამგემა და მეც ავიღე და ქიპითა ვზომავ.

**ბარბალე**—აი, ქიპიც გახუმეს და ტყლიპიც იმ თქვენ გამგესა! ეს არ დეინახა ჩემმა თვალებმა!

**გიგო**—ესა.. სალდათობაში რომ გამზომეს, მაშინ: ქი-

**2 ლურჯ-ხალ.—(გიგოს)** შენ კი, მეგობარო, ასეთი სალი მოსაზრებისათვის, რომელმაც გაჭირების დროს ჭიპიდან მიწამდე სწორეთ ერთი მეტრო გამოველი და ეხლა, რომ გამიჭირდა მამაგონდა და ჭიპითა ვზომავ.

**ყველანი—(ერთად გაიცინებენ)** ფხუ!..

**მიკიჩა**— ვა, ვა, ვა, ვა! აი, ნუმერი!..

**ბარბალე**—მერე და შენი ნაჭიპარი ვის რათ უნდა, შე სასიკვდილევ შენა!

**რუსტამი—(ხელზე-ხელს დაარტყამს)** შეითან ქოფოიოღლი!

**ხუცესი**—წმინდა არს, წმინდა არს უფალი!

**ლექსო**— ამისთანა რეჟიმ-ეკონომია შავარცხვინე, საჭიპოთ რომ გახდება საქმე!

**1 ნოქ.— (მეორეს)** ბიჭო, ქე რომ ამბობდა: ჩემი მეტრო მე სულ თან დამაქსვსო, ამიზა ამბობდა თურმე!

**ყველანი—(მღერიან)** ყველაფერი გვინახავს:
არშინი და მეტრია,
მაგრამ ჭიპით გაზომვა,
ეს კი მეტის-მეტია!

—:—

ასე ესმის გაძგეს
რეჟიმ-ეკონომია,
ასეთ საქმის გაძღოლა—
ლომის ყლაპა ჰგონია!
ორ-სამ მანათიან მეტრს,
ხალხის ქონებას სწირავს,
საწყალ ნოქრებს აწვალებს
თვით კი გორავს და ხვრინავს!

—:—

ასეთ გამგის ხელშია,
ვაი, ჩვენი ბრალია,
ჩითი გაზომისთვისა—
იხადე შარვალია!

—:—

**(ამ დროს გამოდის გამგე, ყველანი ეცემიან და ყვირიან:**

**ყველანი**— ეს რა არის, ეს რა ამბავია!

**გიგოზე აჩვენებენ.**

**გამგე—(გაკვირვებული)** რაშია, ბატონებო საქმე?

**ხუცესი**—აი, შენი რეჟიმ-ეკონომიის ნაყოფი!

**ლექსო**—შე ჩემანალავ, ერთი მეტრო ვერ უყიდე, რომ საწყალ ბიჭს ჭიპი გაუცვითე ამდენი ნარმის ხახუნითა!

**გამგე**—როგორ თუ ჭიპი!

**გიგო**—ბიჭო, მაშ რა მექნა! უმეტროთ გაზომყო და მეტ-ნაკლები არ მოგივიდესო. მეც მომაგონდა სალდათობაში, რომ გამზომეს და მიწიდან-ჭიპამდე ერთი მეტრო გამოველი და იმიტომ გამოვიყენე ჭიპი.

**გამგე**—მერე, რა?

**რუსტ**—რა, რა! რა დაზარმა! ქოფოიოღლი!

**ლექსო**—ვერაფერი შვილი ყოფილა ეს თქვენი ჭიპის კომპერატია!

**მიკიჩა**—ვა, ვა, ვა, ვა! რა მაზალო რამე, კაცო!

**ბარბალე—(გამგეს)** შე სასიკვდილევ, ეს არის შენი რეჟიმ-ეკონომია!

**გამგე—(ბარბალეს)** თქვენ, მოქალაქევ, ცოტა ზრდილობიანათ მოიქეცით.

**ბარბალე**—რაიო, რაიო?

**გამგე—(შეუყვირებს)** გაჩუმდი თქვა!

**რუსტამი—(გაჯავრებული)** რა გაჩუმდი! შუდი მედრო უთხარ—ოქსი მოგსა, კიდე მე გაჩმუდე! ქართანქალა, ქოფოიოღლი!

**გამგე**— გაჩუმდი თვარა...

**მიკიჩა—(სიმღერით)** ვინ გაჩუმდეს, ჭკვაზე მოდი, ხომ არ გინდა აგაყოლო: დაგიზილო და აგირიო—დომხალივით: თავი, ბოლო!

**მიკიჩა—(სიმღერით)** ვინ გაჩუმდეს, ჭკვაზე მოდი,
ხომ არ გინდა აგაყოლო!
დაგზილო და აგირიო—
დომხალივით: თავი, ბოლო!

—:—

რას მიყურებ, არ მოგწონვარ?
ხაზეიხჯან, ჭკუაზე მოდი,
მე რომ ზომაში მაკლებდი,
შენ ღმერთს რას ეუბნებოდი!

—:—

**ხუცესი**—უმეტროთ ფართლის გაზომა
მითხარი სად ნახე, აბა,
ანაფორა გამიფუჭე,
არ გამოდის აღარც კაბა!

**ლექსო** — შე მუდრეგო, ეს რა ქენი,
როდის მოხვალ ჭკვაზე, როდის,
რალა უყო ერთ პერანგის
სახელო რომ არ გამოდის!

**რუსტამი** — ერთი მედრო, რომ მომპარე,
ვერ, ვერ, ჩქარა ჩემი ფული,
შუდი უთხარ, ოქსი მოგსა—
სად არის შენთან სურსხული!

—:—

ბიჭო, რატომ შოდღუილე:
რუსტამ—მირზა—რეჯიბ—ოღლი,
კოპრატივში შენ რა გინდა:
დურაქ, ეშაქ, ქოფოიოღლი!

—:—

**ბარბალე**—გასწი იქით, დაიკარგე,
თორემ გამოგღადრე ყელი,
მომეც ჩქარა ჩემი ფული,
ზომაში რომ დამაკელი!

—:—

**ფაცია** მომეც ჩქარა, რაც დამაკელ,
თორემ ამოგხადე სული,
ან ნაჭერი დამიმატე,
ან მომეცი ჩემი ფული!

—:—

**გამგე**—დეიხით უკან!

**ყველანი—(სიმღერით)** მოგვეც ფული თუ არ გინდა,
გაგიხეთქოთ შენ ეგ ღიპი,
რაც მოგვპარეთ, დაგვიბრუნეთ—
ვერ გიშველის მეტრო-ჭიპი!

**გამგე**—დეიხით უკან თქვა!

**ყველანი**—როგორ თუ დავიხიოთ! **(ხმები: მომეცი ჩემი სამი მეტრო, ორი მეტრო, ოთხი მეტრო, ბირ მეტრო, შე სასიკვდილე, ქოფოიოღლი და სხვა ამისთანა სიტყვები. ყველანი დაუშენენ გამგეს თავში ფართალს, გამგე იხევს ნელ-ნელა, მაგრამ ბოლოს რევოლვერზე წაივლებს ხელს. ამ დროს გამოჩნდებიან ლურჯ-ხალათელნი).**

—:—

## გამოსვლა 10

**იგინივე და ლურჯ-ხალათელნი**

**1 ლურჯ-ხალ.—(გამგეს)** შეჩერდი, შე კრეტინო, შენა!

**2 ლურჯ-ხალ.**—შორს ჩვენგან შენისთანა ბრიყვები!

**3 ლურჯ-ხალ.**—ვისაც შენისთანა სულელურად ესმის რეჟიმ-ეკონომია და ერთი მეტროს გულისათვის სახელს უტეხავს დაწესებულებას, ჩვენ ის არ გვინდა! შორს ჩვენგან შენისთანა კრეტინები!

**1 ლურჯ-ხალ.—(1 და 2 ნოქარს)** თქვენ, ამხანაგებო, ჩაუდექით საზოგადო საქმეს, იყიდეთ მეტრები ანუ რაც საჭირო იყოს საქმისათვის, და განაგრძეთ სამსახური ხალხის საკეთილდღეოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახტალა „ტალა-ტარი-ტარა" ანუ როგორ გაატარა ახტალამ ზაფხული



დროებით ქმრები დროებით ცოლებს ისტუმრებენ.. და კანონიერი ცოლები თავიანთ უფლებას „იბრუნებენ"...

პიც კი გამოიყენე დაჯილდოებული იქნები, როგორც გამჭრიახე ადამიანი.

**3 ლურჯ-ხალ.**—მოგვეცით ხელი, მოქალაქენო, და შეერთებული ძალით ამოვფხვრათ **(გამგეზე)** ამისთანა ხორცმეტი, რომელნიც თვისი სიბრიყვით და კრიტინობით ასნეულებენ სხეულს. ძირს კრეტინიზმი!

გაუმარჯოს საღ გონებას და გამჭრიახობას!

**ყველანი—(მღერიან)** გაუმარჯოს საღ გონებას,
ადამიანს გამჭრიახსა,
ვინც აზროვნებს თვისი თავით
და გაარჩევს: ავს და კარგსა!
გაუმარჯოს შრომის შვილებს,
ვინც მოსთოკავს კრეტინებსა,
ვინც ამოფხვრის ძირიანად:
სულელს, ბრიყვებს, ასეთებსა!
**(გამგეს)** სამი მანათის საღირალს
რომ შესწირე ყველაფერი,
შორს, შორს ჩვენგან, გაგვეცალე,
არ გვჭირია შენებრ შტერი!

—:—

გოგია.

# რომანი „ზორტები"

**(აზრი აღებულია)**

მწერალ კარლო ფინაჩავას რომანი „ზორტები" დაიბეჭდა 3.000 ცალი. წელიწადი სრულდება რაც ეს წიგნები ქალაქის თითქმის ყველა მაღაზიის თაროებზე და საწყობებში აწყვია, მაგრამ მისი მყიდველი არავინა სჩანს.

უფრო ძალიან აბარაზებდა ფინაჩავას ის გარემოება, რომ კრიტიკოსებმა კრინტიც კი არ დასძრეს ამ რომანზე

ერთხელ რესტორანში ფინაჩავას შეხვდა ცნობილი კრიტიკოსი, სილიბისტრო ყეფაძე. ორიოდე ჭიქა ღვინო რომ დალიეს, ფინაჩავამ თავის წიგნზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— ალბათ, წაკითხული გექნება ჩემი რომანი: „ზორტები"!?! შეეკითხა მან კრიტიკოსს.

— მაპატიე, მაგრამ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, პირველათ მესმის ეს ამბავი.

— არაფერია; თუ არ წაგიკითხავს, არც წაგიგია რამე, რომანი ცოტა მოისუსტებს, მაგრამ მაგარი და კარგი ადგილებიც ბევრია. სხვა შენ რას შვრები, გაქვს რამე ახალი?!

— როგორ არა, უკანასკნელათ გამოვუშვი წიგნაკი: „თანამდროვე ლიტერატურა". ნუ თუ არ წაგიკითხავს?!.

— როგორ არა, წავიკითხე... წავიკითხე, მაგრამ;.. მართალი უნდა გითხრა, მკრთალი წიგნაკია... ახალი არაფერია შიგ... ერთი სიტყვით, „ხალტურა"—გეტყობა ჰონორარის გულისთვის დაგიწერია...

ყეფაძეს მღელვარება დაეტყო და ოდნავ აუწითლდა პირ-სახე:

— კი, ისე სახელდახელოთ დავსწერე... მეჩქარებოდა... საერთოდ არც მცალოდა...

— იცი რას გეტყვი მეგობარო,— განაგრძო ფინაჩავამ — მართალი რომ გითხრა, უკეთესი იქნებოდა ხელი აგელო კრიტიკოსებზე; მე როგორც მახსოვს შენი ძირითადი ხელობა მოანგაარიშეობა უნდა იყვეს.. შე კაი კაცო, მე რომ გამეგებოდა რამე ამ დარგში, ერთ წუთსაც არ გავაცდენდი: რა სჯობია ეხლანდელ დროს სამსახურს?— იმუშავებ დადებულ 6 საათს და მერე შენ ხარ შენი თავის ბატონიც და პატრონიც. ორ კვირაში ერთხელ ჯამაგირი ხომ ნაღდია... საკვირველია, რატომ არ ჩადგები სამსახურში?!

ყეფაძემ რაღაცა გაუგებარი წაილუღლუღა და მოითხოვა კიდევ ერთი ბოთლი ღვინო.

ფინაჩავა განაგრძობდა:

— მართლა სულელი ყოფილხარ ჩემო ძმაო... აი, თუ გინდა, მე ხვალვე მოველაპარაკები ჩემ ცოლის ძმას— ყარფუზტრესტში მსახურობს, დიდ კაცათ ითვლება—მოგაწყობს სამსახურში...

— შენი პროტექტორობა არ მჭირდება! მკვახეთ მიაძახა ყეფაძემ და ნერვებ აშლილმა თითების მტვრევა დაიწყო.

— შე კაი კაცო, რაზე გეწყინა— მე სიკეთე მსურს შენთვის, მაგრამ სჯობია დავანებოთ ამ საგანზე ლაპარაკს თავი.. გაგიმარჯოს!

ორივემ გადაჰკრეს. სიჩუმე დამყარდა— თითქოს ლაპარაკის მასალა შემოელიათო. მოუხშირეს სმას. როდესაც მესამე ბოთლი გამოსრუტეს და მაგიდაზე ისევ ყეფაძის მიერ მოთხოვნილმა მეოთხე ბოთლმა დაუმშვენა გვერდი სამ ცარიელს, ყეფაძემ ვეღარ შეიკავა თავი, მოთმინების ფიალა აევსო და ბრაზმორეულს ენა აუმუშავდა:

— შენ თვითონ ხარ „მოანგარიშე“, შე უბედურო შენა, როგორ ბედავ და მაკადრებ ასეთებს... მწერლათ რომ მოგაქვს თავი, არ შეიძლება შენი ერთი რიგიანი ნაწარმოები მაინც მაჩვენო, ისმოდა მისი ყვირილი.

— მერე რა გაღრიალებს— უტევდა ფინაჩავა,— განა, მოანგარიშე ადამიანი არ არის?—ჩემის აზრით, ზოგიერთი მათგანი კრიტიკოსებს კი არა, ფილოსოფოსებსაც კი სჯობია!..

— დამანებე თავი!.. ღრიალებდა კრიტიკოსი— ამიერიდან შენთან გავლა კი არა, ლაპარაკიც აღარა მსურს...

— დამშვიდდი, ნუ ღელავ, წერა რომ გემარჯვებოდეს, არც გირჩევდი მოანგარიშეობას... რა გაბრაზებს, თუ იცი?— ცუდი ხომ არაფერი მირჩევია შენთვის?!.

ფინაჩავამ ამოიღო პორტფელიდან წიგნი და ყეფაძეს გაუწოდა:

— აჰა, წაიკითხე, ჩემი რომანია... „ზორტები“... გარგებს!

— ვიცი რა სისულელეც იქნება... არა მჭირდება შენი რომანი... წაიღე ყასბებს მიყიდე სახვევ ქაღალდათ...

ბრაზობდა ყეფაძე და პირიდან ქაფი გადმოსდიოდა.

— ჩემის აზრით, ეს წიგნი ძალიან გარგებდა, მშვენიერ ენით არის დაწერილი —შენ კი ენა არ გივარგა— გამოასწორებდი მას— უპასუხა ფინაჩავამ და ეშმაკურათ გაიღიმა.

— დაიკარგე აქედან... გამშორდი თავიდან, შენ მართლა ფინაჩო, შენა... შენ მწერალი კი არა, მეჩექმე უნდა იყვე... ბრიყვო!.. უვიცო!.. ბითურო!::

— წავალ, ჩემო კარგო, მაგრამ მაინც ჩემს მოვალეობათ ვსთვლი გირჩიო— მიანებე კრიტიკოსობას თავი— შენი ხელობა მოანგარიშეობაა!— მიახალა ფინაჩავამ და გასწია Ⴠსადილოდან

— ბრიყვი... უზრდელი... ხა-ხა-ხა-ხა!!! მწერალი ვარო— გადახარხარა ყეფაძემ.

— ჩვენგან 9 მანეთი და ექვსი შაური გვერგება— უთხრა მოწიწებით რესტორანის მსახურმა.

— მიიღეთ 4 მანეთი და ცამეტი შაური—დანარჩენს „მწერალი“ ფინაჩავა მოგართმავთ!.. დაცინვით უთხრა ყეფაძემ.

— უკაცრავად, მაგრამ ჩვენ იმ კაცს არ ვიცნობთ...

— აჰა-ა!!! ასეა?!! მაშ, ეხლა მე ვიცი, როგორ მახეშიც გაგაბამ, შე წუწკო, შენა— წამოიძახა ყეფაძემ მუშტის ქნევით.

— დამაცა შენა, გაჩვენებ სეირს.

ამაღამვე მოგილებ ბოლოს —ისე გამოგლანძღო პრესაში, რომ სულ ბედ-იღბალი იწყევლო, შე ბითურო, შენა—ხვალვე გაიგებ, რაც შეუძლია ჩემისთანა მოანგარიშეს!..

მესამე დღეს ქალაქის ერთ გაზეთის ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებული იყო წერილი. შემდეგი სათაურით: „ვის ესაჭიროება ასეთი წიგნები?“ აი, რა ეწერა შიგ:

„ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩამივარდა ხელში ვიღაც კ. ფინაჩავას რომანი „ზორტები“. საკვირველია, ვის სჭირდება რომანი, რომელშიც, გარყვნილ ქალების ტიტველ ტანის აღწერის და გარყვნილებაში ჩამხრჩვალ და ჩაძირულ ახალგაზრდების „მოღვაწეობის“ აღწერის გარდა, ვერაფერს ნახავთ. არავითარი აზრი, შინაარსი ან ფაბულა. არავითარი იდეოლოგია...

წერილ ასე თავდებოდა:

„ერთად ერთი საგანი რომლის აღწერაც ზედმიწევნით ემარჯვება მწერალს, არის ქალ-ვაჟის საცვლების „მხატვრულათ“ აღწერა და საწოლ ოთახების კედლებს შუა მომხრად ამბების ვულგარულათ გამომჟღავნება. საცვლების აღწერისათვის სრულებით არ არის საჭირო მწერლობის ნიჭი; უბრალო მოსარეცხე ქალი გაცილებით უკეთესათ გადმოგვცემდა იმას, რის გადმოცემასაც სცდილობს „მწერალი“ ფინაჩავა. საინტერესოა, რით ხელმძღვანელობდა გამომცემლობა, როდესაც ამ წიგნს სცემდა?

ვის ესაჭიროება ფინაჩაძის „ზორტები“?

ს. ყეფაძე“.

ყეფაძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა:— წადი ეხლა და, საცა შენი სთქვა, იქ ჩემი არ დაგავიწყდესო— ამბობდა იგი გუნებაში, მაგრამ...არც ფინაჩავას სიხარულს უჩანდა საზღვარი, იგიც გაიძახოდა; —„ეე, ეხლა საცა შენი სთქვა, იქ არც ჩემი დამალოო“...

გამომცემლობამ იმ დღესვე დაიბარა ფინაჩავა და მოაწერინა ხელი მისი რომანის მეორე გამოცემის ხელშეკრულებაზე. წიგნის მაღაზიების თაროებზე და საწყობებში ერთი წიგნი აღარ დამრჩა. ახალგაზრდობა „ზორტები“-ს შესაძენათ რიგში იყო ჩამწკრივებული.

პროვინციიდან ყოველდღე ახალ-ახალ მოთხოვნილებებს ღებულობდა გამომცემლობა ფინაჩავას რომანზე ავტორს ჩაუდგეს ხელში ავანსი და შეუკვეთეს ორი სხვა ახალი რომანი.

რამოდენიმე დღის შემდეგ ფინაჩავა შეხვდა ყეფაძეს. პირველმა ჩამოართვა ხელი მეორეს და ალერსით უთხრა:

— უკაცრავად, იმ დღეს სასადილოში რამდენი გადაიხადეთ?

---

9 მანეთი და ექვსი შაური!

— ინებე თუმანი, გენაცვა, ბოდიშს ვიხდი, მგონი, იმ დღეს რაღაც ცოტა გაწყენიე, მთვრალი ვიყავ და წამომცდა. მაპატიე— შენ კრიტიკოსი კი არა, პირდაპირ გენიოსი ყოფილხარ, გენიოსი!..

ჰინკა.

# თუ ვით ჰპოვა გეომ ბინა

ახალგაზრდა იყო გეო,
რომ გაიცნო „უქსი“,
ჩაპუტკნული ბიჭუკელა
ისე, ვით სასუქში.
ახლად მოსული სოფლიდანაც
ქალაქს სამსახურში,
ბინა უნდა გეოს, თორემ
ჩიტი უზის გულში!..




და მიადგა განცხადებით
ერთ დღეს „უქსის“ კარებს..
თუ შენ ბინას კი იძლევი,
ვინ არ შეგიყვარებს!..
ბევრს არ ითხოვს, არც მთლად ოთახს,
ჰყოფნის ნახევარი,
თუ ეს მცირეც არ იქნება
ბევრი სადევარი.
დიდხანს იდგა ის კარებთან,
დიდხანს იყურყუტა,
შიმშილისგან წელმუცელი
სულ მთლად მიეჩუტა.
ერთი დღე თუ ერთი კვირა?
წელი ერთი... ორი...
მიჰქრის იქით, მოჰქრის აქეთ,
როგორც მეტეორი.
ბოლოს შეძვრა: ნახა გამგე
და შესჩივლა ასე:
„უკვე ხუთი წელი გადის,
რაც რომ მათამაშებ,
მომე ბინა, არ გამიშვა
ახლაც გულდამწვარი,
მთელ ოთახს თუ ვერ მიშოვი,
მომეც ნახევარი!..“
უქსის გამგე, ათანასე,
ღალადს შეუდგება:
„საბინაო სამეულში
მისვლა მოგიხდება“.




ამ ნიშანზე შურდულივით
მიჰქრის ჩვენი გეო:
„საბინაო სამეულო,
ყური დამიგდეო,
ბინა არ მაქვს, ბინას დავეძებ
ხუთი წელი მეო,
მექესეში მომიხერხეთ
მაინც როგორმეო!..“
საბინაო სამეულში
როცა შესდგა სხდომა,
გეომ უკვე გაიარა
ათი შემოდგომა...
მეთერთმეტეს სამეულმა
მოუსმინა თხოვნა:
„შენ კავშირის საბუთები!
დაგჭირდება შოვნა“...



მიჰქრის გეო კავშირისკენ,
ო, რა რიგათ მიჰქრის!
განცხადებას იღლიაში,
ქუდთან ერთად, იჩრის...
ჰგონია, თუ ის სისწრაფით
დასძლევს გაიცადენს,
მაგრამ აქაც მოლოდინში
მთელს წელიწადს აცდენს.
ბოლოს უთხრეს. „ადგილკომი უნდა ინახულო,
თუ არ გინდა, რომ ბინაზე
ისევ იმარხულო“...
ადგილკომი, საქმის კაცი,
დადის იქით--აქეთ,
როდის არის ის ადგილზე,
ახლა ეს თქვენ ნახეთ..
ორი წელი მეტი სდია,



ბოლოს იგდო ხელში,
იგდო მარა, ვაი გდებას,
გაძვრა სადღაც ხვრელში!..

ისევ ნახა... ისევ გაძვრა..
ბოლოს დაიხელა...
უკვე ოც წელს გადაშორდა.
რომ არ არის შველა.
ადგილკომმა ატრიალა
განცხადება ხელში.
და საბუთი. გაიმეტა
ძლივს მეორე წელში.
მიჰქრის კაცი ისევ „უქსში“,
ლამის გასძვრეს სიქა,
მაგრამ მისი განცხადება
უკვე არ სჩან იქა.
ახალია გამგეც, „ზამიც“,
ახალია წესიც,
თუმც კვლავ უთხრეს სამეულზე,
როგორც იმ ძველ წელში...
და უქსიდანც მირბის ახლა
ისევ სამეულში.
მუხლში ძალა თუმც მიაკლდა,
ცეცხლი კვლავ ხურს გულში.
სამეულშიც სხვა ხალხს ხედავს,
სთხოვენ სხვა საბუთებს,




ისევ კავშირს მიაშურა,
რეკს საკუთარ მუხლებს.




კავშირიდან ადგილკომში
მოუწია რბენა...
ოცი წელი სხვაც დასჭირდა
საბუთს შესაძენად!..
მიჰქრის ახლა ისევ „უქსში“,
შემდეგ— სამეულში,
მიჰქრის, თუმცა სიმოხუცე
ჩადგა უკვე გულში!
სამოც წელს რომ გადაშორდა.
მოტყდა მუხლი, მკლავი,
საჭირო საბუთებს ძლივას
მოუყარა თავი,
და გადასცა სამეულში
იმ იმედით, რომა:
აწი ლოდინს ეყვის მაინც
ათი შემოდგომა!..
მაგრამ ათი? რისი ათი?
მთელი ქეთავათი!..
ოცი წელს კიდევ არ მიეცა
საქმეს შაღავათი,
როცა ერთ დღეს „სტრახკასაში“
კაცი გამოცხადდა:
„ იგი გეო მოკვდა უკვე,
ბინა რომ ეწადა!
უქსისაგან თუმცა ჰქონდა
უკვე შეპირება,
მაგრამ, დახეთ, დღენი ჩვენი
რა ხვედრს ეწირება!..
ბინა სურდა კაცს და იგი
მაინც მიიღო ახლა:




დამხმარე სალარომ იგი
უკვე „ჩაასახლა“!..

ჰაზირა.

## ბათომის შრომის ბირჟაში

ბათომში ვარ, შრომის ბირჟის კარებში,
გახვეული ღრმა ოცნების ქარებში,
ვხედავ, აქ ცდით გავეხვიე ვალებში,
და იმედი მთლათ გამიქრა თვალებში.
ვერ გავიგე, თუ აქ სანამ ვიქნები,
სანამ მხარ'შავს ეგ ოხერი ფიქრები.
ეს კი მივხდი, რომ აქ ძალით ვბერდები...
რადგან აქ მომწყდა გული, გვერდები...
ბირჟის გამგეს სულ ვაწვალებ ვედრებით,
ვეხვეწები ცრემლით სავსე „ვედრებით“:
„მომეხმარე, გულზედ ლოდი ამიშვი,
თუ „ღმერთი“ გწამთ, სადმე მუშათ გამიშვი.
ის კი მშვიდათ,—მიპასუხებს ღიმილით:
„რა კეთდება, ძმაო, მაგრე ტირილით?
მეც კი გხედავ, რომ შენ აქ ცდა გიხდება,
მაგრამ... ვნახოთ... კიდევ თუ რა იქნება“.
აგრე მიდის დროი, დროი მიფრინავს,
მე კი ისევ მშრალი კუჭი მიღრინავს.
შიმშილისგან მიმოვდივარ სადარა...
ოქრო არის ჩემთვის პური პატარა...
ღამ-ღამობით ჩემს თავს შავ-დღეს ვაყენებ,
უბინობით ქუჩა-ქუჩა ვათენებ.
არც ბინა მაქვს, არც საჭმელი, სასმელი,
და არც ტანზედ სახურავი, საცმელი.
მე რომ აგრე ვიტანჯები სულითა...
მიზეზია: ღარიბი ვარ ფულითა!..
ტყვილა ჩამრჩა სიღარიბის მოწმობა...
უნაცნობოთ საქმე აღარ მოწყობა.
პროტექცია არ დამირჩა მე არსათ,
რაც გამიხდა სანატრელათ და ფასათ!..

ა. ოროკელი.

## დაჩქარებული სენის შეპარება



— მამილო, აი, აქ კუჭი საშინლად მტკივა!...

— არა უშავს, გაივლის, გაივლის-... (თავისთვის)... ჰმ!.:: რის კუჭი? იქ ხომ გულია!::: ალბათ, შეყვარებულია უკვე-...

## შ ა რ ა დ ა

თუმც დამწვა ყიჭიმ ქამდაგა
და ტვინიც დამიავადა;
მაინც არ ძალმიძს ამჟამად,
რომ არ დავსწერო შარადა:
ქართული ალფავიტისგან
პირველი ასო გვჭირია,
დანარჩენს ზურგი ვაქციოთ,
შემოვიბრუნოთ პირია.
ყველას გინახავს ცხოველი,
სოფლის „შუკაში“ ხშირია,
მეოცე საუკუნეში
„უღელში“ ანატირია:
მას ზურგზე აკრავს ბალანი,
რომლის სახელიც გვჭირია,
ექვსი ასოთი შესდგება,—
ცნობა რა გასაჭირია?!
(ოდესღაც რწყილმა იმითი
თოკიც დაგრიხა ძვირია!).
ორი ანბანი მოვკვეთოთ,
სიტყვის წინა განაპირია,
ბოლო ხმოვანმაც იმათთან
წაიღოს თქვენი ჭირია.
ჩვენ გვყავდა დიდი მგოსანი,
„ჩონგური“-ს ამატირია,
მას „სატრფო“-დ ყავდა „სამშობლო
მტრებისგან დანამცირია;
ხუთი ასოთი შესდგება
მისი სახელი, ძვირია,
პირველი ორი—მოვაკლოთ,
მივიღეთ დანაპირია!
სულ ერთი სიტყვა აშენდა,
მაგრამ მჯობნია ათისა,
ადგილი გრილი, ლამაზი,
გამქრობი გულის დარდისა!
იქ ნებივრობენ ამჟამად
ბავში, კაცი თუ ქალია,
ჩვენ კი აქ ვიწვით სიცხეში,
გვხრაკავს ზაფხულის ალია!.. *)

ს. ოროკელი.

*) ჩვენ არ ვუჯერით **ოროკელს**,
უნდა ვსთქვათ სამართალია:
სიცხეა ამ წელს ზაფხულის
თუ ჩაილუღლის წყალია?!.

**ტარტაროზის შენიშვნა.**

# გამომჟღავნებული ცოდვა

ყველაფერი დროების ბრალია, თორემ რედაქციაში კი არა ხარჩევნიაში არ მამსახურებდა ვინმე.

მაგრამ, რა კი ერთხელ გავბედე რედაქციაში მისვლა, მერმე ყოველდღიური მისი სტუმარი გავხდი. რედაქტორიც არ მიშლიდა იქ მისვლას. პირიქით, კიდევაც მირჩევდა ხშირად მევლო, თვალყური მედევნებია და შემესწავლა იქაური მუშაობა. მწერალი კაცის გაცნობა და ისიც რედაქტორის ხუმრობა ხომ არ იყო? სულ ენაზე მეკერა, „დღეს რედაქტორმა ასე სთქვა, რედაქტორმა ასე იცის, რედაქტორმა ასე დამავალა, რედაქტორი ასე შვება, ასე დადის, ასე სვამს, ასე სჭამს“; ერთი სიტყვით, თუ რაიმეზე კი ჩამოვაგდებდი ლაპარაკს აუცილებლივ, რედაქციას და რედაქტროს შიგ ჩაურთავდი. ეხლა ჩემი ცოლიც გააბამდა ქალებში: ჩემ ქმარს ასე უთხრა ლედიქტორმა, ჩემი ქმარი მიიწვია ლედიქტორმა, თურმე ასე იცის ლედიქტორმა, და ამრიგად გრამაფონის ფირფიტივით გადაჰქონდა ჩემი სიტყვები. რომელი რეკლამა, რომელი განცხადება შესძლებს იმას, რასაც ქალის ენა. ქალაქის ქალები უკვე მიცნობდნენ არა როგორც რედაქტორს, არამედ იმაზე უფრო დიდ ვისმეს. ვისაც კი რაიმე საკინკლაო საქმე ექნებოდა ჩემთან მოდიოდა გაზეთში „ჩასაგდებად“. ჩემი ბინა ნამდვილ ვექილის ბინას დაემსგავსა. მოდიოდენ და მოიდოდენ...

მეც, რასაკვირველია, დინჯად განვიხილავდი საქმეს და შესაფერ პასუხს გავცემდი. დღეში ოცდახუთ წერილს დავწერდი, დილით რედაქციაში დამლაგებელზე უწინ მივიდოდი. ორი საათი უნდებოდა რედაქტორი ჩემი წერილების კალათში ტენას, მაგრამ ერთი, ორი წერილი მაინც სავარგისად იქნებოდა ცნობილი და მე მაინც მადლიერი ვიყავი.

— მოდი იმუშავე ჩვენთან —მითხრა ერთხელ რედაქტორმა, როცა შემნიშნა, რომ ცოტა რაღაცა შევისწავლე და გვარიანი წერილების წერაც შემეძლო—მოგცემ მუშათა ცხოვრების მასალებს გაასწორე. მინისტრის პორტფელის მიღება არ გაუხარდება კაცს ისე, როგორც ეს გამიხარდა. დავბოჭე თუ სადმე მუშკორების წერილები იყო და წამოვიღე გასასწორებლად სახლში. კონსპირატიულ წესის

## პროვინციალური
### (ზესტაფონისათვის)



საურავი მომიხსენი,
შენ გენაცვალეო,
დღეს ისეთი გამოგზრუნეო,
რომ გაჩნდეს ხვალეო!...

დასაცავად ცოლი ოთახიდან დავითხოვე, ჩავიკეტე კარები და სალამომდე ვასწორე წერილები.

— შემოვალ ზეჩა სახლში, გავთბები, შენსკენ არც გამოვიხედავ, თუნდა ლოგინში ჩავწვები, შენ კი იმუშავე— შემევედრა ერთ დღეს ჩემი ცოლი, როცა ყინვამ მოუჭირა.

— ნუ ხარ სულელი, დედეკაცო, ვის მოსწრია რედაქტორის ოთახში გარეშე პირის შესვლა? ხომ იცი, აქ ისეთი მასალებია, რომ მას რომ სხვის თვალი მოხვდეს, პასუხისგებაში მიმცემენ— უთხარი მე. რას იზამდა? ჩემი დიდკაცობის გამო, ყველაფერს ითმენდა. საქმე კარგად მიდიოდა ერთხანს, მაგრამ ერთხელ კი ისეთი შემეშინდა, რომ სამუდამო უარი ვთქვი რედაქციაში მუშაობაზე. ის იყო შევედი რედაქციაში და დავჯექი თუ არა, შემოვარდა ერთი მაღალი ტანის კაცი, რომელსაც წელზე რევოლვერი ეკიდა და ზედაც ხელი ედო.

— სად არის რედაქტორი?!—იყვირა მან.

— ჯერ არ მოსულა, ამხანაგო—ვუპასუხე მე.

— მდივანი.?

— არც ის მოსულა.

— შენ რა მოხელე ხარ, აბა?

— მე მუშათა ცხოვრების განყოფილების გამგე ვარ —ვუპასუხე თავის მოწონებით.

— შევარცხვინე მე შენისთანა გამგე. არ იცი რაებს ჩხაპავთ გაზეთში? რა სწერია აქ, წამიკითხე ერთი?! რა სწერია მეთქი!! იყვირა მან და ხელი რევოლვერზე დაიდო.

— რა უნდა ეწეროს, რას ცხარობთ,— უთხარი მე და გაზეთი, რომელიც მას ხელში ეჭირა, გამოვართვი.

— წამიკითხე მალე, რა სწერია?! —ჩქარა!

— მერმე რაა აქ ისეთი?— შევეკითხე როცა წერილი გადავათვალიერე.

— როგორ თუ რაა. ხომ ხედავ, რა სწერია: „არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს, ადმინისტრაცია თავის მუშაობის ანგარიშებს არ აკეთებს კრებებზეო, ახალ გამგეებს ახალი ხალხი მოყავსო“—ხომ ხედავ რაებია? შეიძლება ასეთების გაშვება? მე ვიცი ვინცხაა მაგი ბატონო „ისარო“ (დაახხელა ფსევდონიმი) და უჩვენებ იმას სეირს. შენც დედას გიტირებ, თუ მეორეჯერ გაგიბედავს ასეთების გაშვება...

— რას სჯავრობთ, თუ მართალი ხართ — მუშკორი, უპასუხეთ, გააბათილეთ მისი წერილი და სხვა რა იქნება— ვუთხარი დიდი სიფრთხილით მე.

— პასუხი დაწერილი მაქვს, მაგრამ იცოდეს, თუ კიდევ გაბედოს წერილის დაწერა არ დაუბეჭდოთ, თორემ ვერცერთი ცოცხალი ვერ გადამირჩებით—მითხრა მან და სამი არშინის სიგრძე წერილი მომცა ხელში. „ძალიან თავს იგდებს ვიღაც მუშკორი „ისარი“—ეწერა პასუხში —„მას უნდა დასცეს პრესტიჟი ჩვენი დაწესებულების, ის ძველი კონტრ- რევოლიუციონერია და სხვა არაფერი. ჩვენს დარგში რომ ყველაფერი რიგზეა და „ისარის“ ბრალდება ყალბია. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: ჩვენ განზრახული გვაქვს დავიწყოთ კულტმუშაობა, ვფიქრობთ გავაკეთოთ მოხსენება,— აზრად გვაქვს მოუმატოთ ხელფასი, ვეცდებით კავშირის წევრების მიღებაზე, თავისუფალი ადგილი თუ გამოჩდება... ამ რიგად ჩვენთან რიგზეა ყველაფერი. „ისარი“ ამბობს, რომ ჩვენ მივიღეთ ბრაკიშვილი და კელაშვილი, ცდებით ბატონო, „ისარო“ ბრაკიშვილი და კელაშვილი კი არ მიგვიღია, არამედ ფრაკიშვილი და პელაშვილი. ამრიგად ვცნობ რა სიყალბედ „ისრის“ წერილს, ვთხოვ სათანადო ორგანოებს მიიღონ ზომები მის ახალაგმავად. ამის შემდეგ ისე ვუფრთხილდებოდი ასეთ ვინმეების შესახებ წერილის გაშვებას, რომ მეტიც აღარ შეიძლება. თუ წინად ვაწერდი სათაურებს: „ადმინისტრაციავ გამოიღვიძე, საჭიროა დაზოგვა“, „მუშაობა მოისუსტებს“, ბიუროკრატიზმი ამა და ამ დაწესებულებაში“ და სხვები, შემდეგ შევცვალე: „ალაგმეთ მიკიტანი“, „გახადეთ მღვდლებს ანაფორა“, „დააბით მეძავე ქალები“, „შეგვაწუხეს ძაღლებმა“, „გაგვამწარეს მეჩისტეებმა“, „აგვიკლეს მეწისქვილეებმა“ და სხ.

ერთხელ ერთი წერილი მივიღე „ასეთი ადმინისტრატორი არ გვარგია“-ს სათაურით.

„მუშებს უდიერად ეპყრობა, ხელფასს არ არიგებს თავის დროზე, სახაზინო ცხენით დარბის, ფულებს ფანტავს, ქალებში ქეიფობს და სხვა“.

— შარია, ვინცხა — ვთქვი მე და კალთაში გადაუძახე. ერთი კვირის შემდეგ, ასეთივე შინაარისის წერილი მივიღე ისევ იმისაგან და იმავე ადმინისტრატორზე, წერილს პატარა თხოვნა ჰქონდა დართული: „ამხ. რედაქტორო, რატომ არ გაუშვით ჩემი წინა წერილი, გიგზავნით იმის ასლს და რამენაირად გაუშვით.

— მოგცლია, ვინცხა ხარ— ჩავილაპარაკე და ვაკვრიე გოდორში თავი. სამი დღის შემდეგ კიდევ იმის ასლი და კიდევ თხოვნა. „გამგემ გაიგო, რომ მე წერილი გამოვგზავნე რედაქციაში და ეხლა მემტერება, საცაა მომხსნის სამსახურიდან, მიშველეთ რამე და ეს წერილი გაუშვით“.— თხოულობდა კიდევ.

— ვერ მომატყუებ, ბიძი—ვთქვი კიდევ და ისიც გადაუძახე გოდორში.

„დღეს უკვე ბრძანებაში გამატარეს დათხოვნილად. ჩვენმა გამგემ ყველაფერი გაიგო, რასაც ვწერდი მასზედ, დამითხოვა და კიდევაც მემუქრება, თქვენ ჩემი წერილები არ გაუშვით მაშინ, გთხოვთ ეხლა მაინც გაუშვათ, გიგზავნით ისევ ასლს. იხსენით ხალხი ისეთ ადმინისტრატორისაგან, თორემ საქმე ცუდად წავა“.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა შემოგვიჩდა ეს ოჯახქორი, არ დაგვიბეჭდია მისი წერილი და უკვე მოხსნეს; რომ დაგვებეჭდა, მაშინ ხომ გაატყავებდენ მაგ უბედურს— ვთქვი მე და წერილის გასწორებას შეუდექი. ნახევარი საათის შემდეგ მისი წერილი შემდეგნაირად გასწორებული მეჭირა ხელში; „ღირსეული ადმინისტრატორი“, „ჩვენი ადგმინისტრატორი სწორედ დიდი ენერგიისა და ნიჭის პატრონია; მისი მეოხებით დაწესებულება წინ მიდის; მუშებს კარგად ეპყობა; ქეიფობა და ქალები ჰჭირივით ეჯავრება; სახაზინო არამც თუ ცხენზე, ეტლშიც არ ჯდება: ფულებს უფრთხილდება. სწორედ ასეთი გამგის წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხანძრების რისხვა--გულში „ხანძრით“

(მეგობრული)

ამას წინად თელავის მაზრაში ტყეს ხანძარი გაუჩნდა. ტფილისიდან ელვის სისწრაფით დაიძრა მეხანძრეთა რაზმი; თვითონ ამხ. ალ. ბერიძის ხელ მძღვანელობით. მაგრამ, სამწუხაროთ, გზაში მანქანა გაუფუჭდათ და რაზმიც იძულებული შეიქნა ისევ უკან დაბრუნებულიყო.

(ქრონიკიდან)



**ამხ. ბერიძე** — ეჰ, რაც უნდა მასხათ ახლა ეგ წყალი, ხანძრამდის მაინც ვერ მიუწევთ, თუმცა იგი ამჟამად უკვე აქა მაქვს, მკერდ ქვეშ!..

ლობითაა, რომ ამ დარმა გაცილებით აიწია. ქემაბ ასეთ მუშაკს. მუშკორი „კოკორი“.

ნამდვილი საგაზეთო მასალა გამოდგა და მუშათა ცხოვრების სათაურში მოთავსდა. არ გასულა ერთი კვირა, რომ ერთი ახალგაზრდა შემოვიდა რედაქციაში და ჩემს მაგიდასთან მოვიდა.

— მუშათა ცხოვრებას თქვენ განაგებთ, ამხანაგო? მკითხა მან.

— დიახ. —ვუპასუხე მე.

— მე გახლავარ მუშკორი „ოკორი“—მითხრა მან და ხელი გამომიწყდა.

— ვაიმე—გავიფიქრე—ვაი თუ თავისი წერილის შეცვლის გამოა მოსული—ვთქვი გულში.

— დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ჩემი წერილის გაშვებისათვის, მართალია, შევცლილია, მაგრამ...

— გამოვიდა თუ არა ჩემი წერილი, იმავე დღესვე მიმიხმო გამგემ და უფროს მუშათ დამნიშნა,—შენ დიდი უნარიანი ახალგაზრდა უნდა იყოვო, მითხრა და ეხლა მშვენიერ განწყობილებაში ვარ მასთან სთქვა მან კმაყოფილებით.

თუ დრო გაქვთ ერთი ბოთლი ღვინო დავლიოთ ერთად! დაატანა მორიდებით მან. რედაქციაში კი არა, სამოთხეში რომ ვიყო, მაშინც არა გვაწბილებ კაცს ასეთ რასმეზე, თორემ მასზე როგორ ვეტყოდი უარს და ორივემ ერთს დუქანში რამოდენიმე კვარტი გამოვცალეთ. ბოლოს იქ ის „ქებული“ გამგეც შემოგვესწრო და ქეიფს ფართო ხასიათი მიეცა. ასეთია ერთი ეპიზოდი ჩემ სარედაქციო მუშაობიდან.

პ. ობოლი.

## სახლის პატრონების გოდება

მოვესწარით ჩვენი აღსასრულის დღეს,
თავზე ცეცხლი აგვენთო—აგვეკიდა,
სახლები ხომ არხეინად წაიღეს,
თან მდგმურებიც ფინთად გადაგვეკიდა...
ტყავს ვაძრობდით მდგმურებს ბინის ქირაში.
ყოფილიყო თუ გინდ სულ ახლობელი,
თაკს ვცსtმოდიო ორხელ მაინც კვირაში
და არც დაგვრჩა არვინ ხელ უხლებელი...
ვაღიდებდით შემოსავლის წყაროსა,
რემონტებზე არ ვზრუნავდით აროდეს,
ეხლა გული რაღამ დაგვიწყნაროსა,
წყევლა-კრულვა- ვისაც ეს უხაროდეს!...
არ გავიდა ალმასკომთან ტყვილები,
რომ ვიღებდით ქირას თითქოს მცირესა,
არ მოსტყუვდენ კიდევ გულუბრყვილები
და პირიქით, სასიკვდილოდ სწირესა.
რად გვინდოდა მდგმური გარედ საყარად
ანუ ხალხში მითქმა-მოთქმა ქუთქუთი,
როცა გვქონდა ფული თავზე საყარად
და ბინები—პრინცებივით—ხუთ-ხუთი!..
სატირალი ჩვენ ეხლა გვაქვს, იცოდეთ,
რომ მულამი ერთიანად გაგვიგეს,
სწორედ ცეცხლში ეხლა უნდა ვიწოდეთ,
როცა მახე ლირსეულად დაგვიგეს.
ისე, ძმებო, ყველაფერი გვეკუთვნის,
რომ ვზოგავდით კომუნისტებს პირშავებს,
მოვსწრებოდეთ, რომ ჩვენ ვსჭამდეთ მათ კუთვნილს,
ვინც უწყალოთ ასე ამოგვიშავეს!...

ტრისტანი.





**სტუდენტად მისალები**

„თა-ვო ჩე-მო ბე-დი არ გი-წე-რი - ა“,
—პრო-ფე-სორი ყვე-ლა ჩე-მი მტე-რი - ა...
ვა-ი რა ვქნა ორე-ბი მი-წე-რი - ა;
ეს კონფკურ-სი ოხ რა სა-ში-ნე-ლი - ა...



**სახლის მეპატრონე**

„ჩან-გო ჩე-მო ეშხით“—ვერ-„გი-ქლე-რი - ა“—
დარ-დი-სა-გან გა-მი-თეთრ-და წვე-რი — ა;
— „ჩა-მო-ერ-თვა“ გა-ზე-თებ-ში სწე-რი - ა;
სახ-ლო ჩე-მო შენ-ზეც მო-დის ჯე-რი - ა...



**გამფლანგველი**

„არ მშორ-დე-ბა მწუ-ხა-რე-ბა და ჭი - რი“;
გუ-ლი მი-წუხს ვერ ვი-ცი-ნი სულ ვსტი - რი,—
ცი-ხე-ში-ვარ ხა-ხას მივ-სებს ეს ხვი - რი.
რე-ვი-ზი-ავ შენ შე-გირ-ცხვეს მაგ ცხვი - რი...

ალლო.

---

## კონტრ-რევოლიუციონური ჩრდილები განათლების ფრონტზე

არ მიყვარს სიტყვა მკვახე უმია,
ტფილისში ბევრი ტეხნიკუმია,
მოგიყვეთ უნდა ამბავი ერთის,
თუ შემეწია ვედრება ღმერთის.

—:—

ის აქ არსებულ ტეხნიკუმთ შორის,
არ **სალამიო**, მძულს როშვა ჭორის
თანაც **პირველად** არს წოდებული,
სიდანც მოწმობა მაქვს ბოძებული!..

—:—

მსმენელთა შორის იყვნენ ხნიერნი,
უნიჭო სრულად თუ ნიჭიერნი
და მასთან გროვა ახალგაზრდების
მუშები მკვრელების, დარდიმანდების.

—:—

ას მანეთიანს იხდიდენ სრულად,
არ მიიტანდი გიცქერდენ მტრულად,
არ დანთებულა ზამთარში ცეცხლი,
დაგროვდა ბლომად ოქრო და ვერცხლი.

—:—

აქ მოწაფეთა კომიტეტია

ხან იმერელი და ხან ტეტია,
ჭყუ სულ ხშირად დალონებული,
რადგანაც ყავდით დამონებული.

—:—

შემდეგ განვაგრძოთ მედპერსონალზე
ვაცი რას იტყვის უბიწო ქალზე,
მაგრამ ჩვენ მაინც ვამბობ მართალსა
და თქვენ თვით დაგვდებთ აწ სამარ-
თალსა.

—:—

ნათლიმამობა ჩვენში ხშირია,
მოუნათლავი განაწირია,
განაწამები ობლად მოკვდება,
და „ჯოჯოხეთში" იგი მოხვდება.

—:—

მოწაფეთ შესძლეს თვისი მისია,
ეს არც თუ ძნელი შესატყვისია,
და გაიტანა ბევრმა მოწმობა,
აწ სამსახურში უნდათ მოწყობა.

—:—

იციან მარტო ფორმულა ორი:
სინუსის ხაზის გაყვანა სწორი,
გათავდა მთელი ფილოსოფია
განათლდა: მიტო ის თუ სოფია.

—:—

მათემატიკის თუ კი ხარ სპეცი,
არ მოგეკიდოს არას დროს ქეცი.
ბუნებრივია ხოლმე ეგ ნიჭი,
ვერ შეითვისებს უბრალო ბიჭი.

—:—

და აგრეც იყო ბევრი გასული,
რა შუაშია ცოდნა, წარსული,
თუ მოისურვებს გეგელაშვილი
„დასჭკნება ვარდი, ნორჩად ფრთა-
შლილი".

—:—

ხმა აქვს ტენორი, თაფლებრივ ტკბი-
ლი,
გასიამოვნებს, მოგივა ძილი.
იტყვი: „იკურთხოს შენი გამჩენი..
საქმეც მქონდეს გამოსარჩენი!.."

—:—

თავს მოგაჩვენებს, ვით მეგობარი,
ძველი ძმობა-ბიჭი სატრფოსა დარი,
მასთან სპეცია ოინებისა:
უყვარს გამოხსნა თავის ძმებისა.

—:—

„ტყავი ძაღლისა არ ხიოს ძაღლმა",
ტყუილად არ სთქვა ეს ბრძენმა
ხალხმა,
და ჩვენი გამგეც მიტომ გამგეობს,
რომ, ალბათ, ვილაც ზევიდან
მძლეობს!..

—:—

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული,
მაშ, დაემხობა ორგულიც, კრული,
მოსთხოვს ანგარიშს მას მომავალი
და განადგდება სესხი და ვალი!..

დამაკვირდი.

## „შავკანიანთა" შეხვედრა




— ბონჟურ, კამარად! აფრიკიდან თუ ამერიკიდან?!
— მე აგერ, აფხანიკო, ქობულეთიდან: ორი თვეა აგერ ზღვის პირზე გიახელი!...

## თვით დასაცავ დამცველს

(პასუხის პასუხი „კონტროლიორ გრიშას")

ლექსის წერაზე გეტყობა,
თუ როგორი მელექსე ხარ!
მე სიყალბეზე მითითებ, —
თვით კი სიყალბეზე დგეხარ?!
მელექსეობას მიწუნებ?—
მეცინება: ხა-ხა-ხა-ხა!..
(იქნებ „მალამოში" ღვინით
ჩაგიკოკლოზინეს ხახა?.).
გამიგია: ქრთამსა, თურმე,
შეუძლია ბევრი რამე!
(ნეტა რამ გაგაწიწმატა —
წიწაკა თუ არა სჭამე?!).
ამბობ, თითქოს მუშკორს ვარცხვენ,
ნეტა, ეს სად წაიკითხე?
(ჭკუის აპარატზე ვით ხარ? —
გაისინჯე, ექიმს ჰკითხე!).
ამბობ, მუშებს ბნელ ძალს ვარ-
ქმევ, —
(მაჩვენე, ეს სად სწერია?)
ლობე-ყორეს რომ ედები,
საბუთი რა გიჭერია?!
„ჩემო გრიშა", გიკისრია
დამცველობის შენ მისია...
რედაქციას სთხოვ: დანიშნოს
გამომკვლევი კომისია!...

ურედაქციოდაც მზად ვარ —
რაც დავწერე, დაგიმტკიცო,
და ყველასთვის გასაგები
საბუთები ცხვირში გტკიცო!
სასადილო „მალამოზე"
რაც ვსთქვი, ერგებოდა, ო, მას!
და შენ როგორ იღებ ხმასა,
უთავბოლოდ ხარჯავ შრომას?!
იცი რომ ორკვირის წინად
იყო ჩხუბი, ღრიალი,
„შინაურ" ქალთა გულისთვის
მაუზერის ტრიალი?!.
კინოს ტარზანზე ნაკლები,
არ გეგონო, ყალბო მცველო,
სიმართლის თქმა და ლექსები,
არის ჩემი სამლოცველო!
შენ ჯერ თვით გამოიკვლიე,
მერე საპასუხოდ გამო!
მე კი რის ღირსადაც ვცანი,
ისე შევამკე „მალამო".
ასე, ჩემო, მაგ „მალამოს"
კუზიან მხარეთ მფარავო,
და პატიოსან მუშკორის
ნეტარ სახელის მპარავო!..

ტარზან.

# ცნობათა მიღება



### დ. ფლი—ს

გვწერთ: „ვილაცას ლანჩხუთში ბაზარში უღლიანი ღორი დაეტაკა და დაუზიანა მარცხენა შარვლის ტოტიო“ ღორზე რაღა გვექთმის, როცა აგერ თქვენ ამოდენა მანძილზეც კი მოგვწვდით ასეთი უმწიკვლო ცნობით და დაგვიზიანეთ არა მარტო მარცხენა, არამედ მარცხენაც და მარჯვენა თვალიც, სხვა ორგანოებზე რომ არაფერი ვსთქვათ.

ნუ თუ დაიჯერეთ, რომ ლანჩხუთში სხვა უფრო ღირსშესანიშნავ მოვლენას არა აქვს ადგილი, გარდა უღლიან ღორებისა.

### ივანიკა-ს

მივიღეთ თქვენი ლექსი აგარაკების შესახებ. ვწუხვართ, რომ დაგვიანებით მივიღეთ, რადგან აგარაკების სეზონი თითქმის სავსებით გასულია. მიუხედავად ამისა, ეს ლექსი „ინტერესს“ მოკლებული არ არის. თუ გნებავთ იმ მხრით, რომ „ხარჯი გვაქვს ზედ გაწეული“. ბოლომდი ჩავიკითხეთ ის. ბოლოში სწერია:

„ჩემი ცოლი კოჯრის ტყეში
კურორს ეხვევა,
მე კი ჯარი ბაღლინჯოების
რბილ ადგილზე მეხვევა“-ო.

კოჯრადაც შვრებიან. არა და გიჟები უნდა იყვენ, რომ ცოტა ზევით აჩოჩდენ და მიეხვიონ თქვენი სხეულის მაგარ ნაწილს, სადაც ამ ლექსის შემთხზველი აპარატია მოთავსებული!... ცნობილია, რომ ბაღლინჯოებს დიდათ განვითარებული აქვთ ყნოსვა!..

### ჭაგნელ ბზიკს

ჭაგნელო ბზიკო, ცნობილო,
გესლის მნთხეველი ენითა,
მარტო სალამი რად გვინდა?
„თაიგული“ მოგვიტა ფრენითა!..

### ბახჩო-ს

სწერთ მეწავთეზე, ალბათ, მუშკოოპის მენავთე გყავთ მხედველობაში. ჩვენ ათას „ცუდათ მწერალს“ ერთი ასეთი მენავთე გვირჩევნია. გასაგებია, თუ რისთვის. თუ რომელიმე მათგანი ცუდათ ეპყრობა ხალხს, იმას კი არ დავინდობთ. მაგრამ თქვენს „ნაწარმოებში“ კერძო შემთხვევა არ არის გარკვევით დაშორებული საერთოდ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში კი ჩვენი ჩანგლის წვერი თქვენ გეხება..

### ბახჩო-ს

შე კაი კაცო და ჩვენ — უკეთესო, აბა, როგორ გეშინია ჩვენი. ამხალა კაცს, ა?! არც ისე საშიში ხალხი ვართ. „ცნობათა მიღებამ“ გული არ უნდა გაგიტეხოთ. „ტარტაროზის“ თანამშრომლობა და გულის გატეხა ერთმანეთს არ ეგუება ისე, როგორც არც ჩვენ გვეხერხება მოლოლიავება და თავზე ხელის მოსმა. თქვენი „სკიდკა“ იქნება გამოვიყენოთ.

### პატარა ანკესს

სამი მგზავრი, თქვენ რომ გვაწვდით ლექსად და აწერთ „გაგონილი ამბავი“-ო, ეს იგავ-არაკი არა თუ მარტო „გაგონილია“, იგი დიდხანია გამოგონილიც არის, შეთხზულიც და ქართულად თარგმნილიც. ამ თარგმნის დაბეჭდვაც შეიძლებოდა, რომ იმ პირველ თარგმანს ესა სჯობდეს. ეცადეთ უფრო არა გაგონილისა, არამედ საკუთარი თვალით ნახულის აღწერას. კარგია თქვენი „წყალტუბოს სასაცილო, რომელიც მიდის. სწერეთ ამ მიმართულებით.

### კოკო-ს

რას ჩააცივდით, ამ „კოწოს“. თუ ღირინავს და სიბინძურეს ამთხევს, ქოთნის ღირსებამდე ავიყვანთ, ისიც ყველა ქოთანს კი არა...

### ერთი ფინჩხა

„ტრამვაი სდგას“-ო, გვწერთ. ჩვენი დაკვირვებით კი „სდგას“ და „არცა სდგას“, ისე ხშირად იცვლის სადგომ ადგილებს. ზოგი კონდუქტორ-კონტროლიორიც ბოროტად იყენებს ჯარიმის გადახდევინების უფლებას, იწვევს მგზავრებში აყალ-მაყალს ჯარიმათა ხდევინების სრული უსისტემობით, მათი განუკითხავი შემთხვევით ხასიათით. აგებს ამის გამო ტრამვაის მეურნეობა. ტარტაროზმა იცის ამის საიდუმლოება. ჯარიმა საზოგადოებას მხოლოდ აბრაზებს, ხოლო სისტემას კი ვერ ქმნის იქ, სადაც უსისტემობას აქვს ადგილი, თუნდაც ხან-გამოშვებით.

### გალაქტიონ ჯანელიძეს

სცენას „ტელეფონთან“ დაგიბეჭდავდით, მაგრამ ექიმ ბურჯანაძის უდიერად ხსენებას, ვფიქრობთ, გამართლებულ საბუთს ვერ უპოვით. საჭიროა მეტი წინდახედულება, მარტო ჯანი კაცს ვერ არგებს.

---

მოსე პაიჭაძის, იულოს, ნიკიფორის, ამბაკოს, ვასილის; ყარამან ბოლქვაძის; პავლე ჩიგოგიძის, ალექსანდრე და ერმალო უნგიაძის, სიოდი, პეტრზე და ილიკო ჩხიკვაძის თხები: ბეკეკა, ელია, წვერცანცალა, ყურცქვიტა, ბაკი-ბუკა და სხვები — მწუხარებით იუწყებიან მათი საყვარელი ღამის ბინის და ტურებისაგან თავ-შესაფარის

**ს. ჯვარცხმის კოხ-სამკითხველოს**

გარდაცვალებას. დასაფლავება კონცხოულაზე (ს. ინტაბუეთში)

---

თავზარდაცემული გამგეობის წევრები: სიმონ უნგიაძე, შალვა გიორგაძე, სარდიონ მგალობლიშვილი, ევგენი სიხარულიძე, მოსე მახარაძე, ბენია თავბერიძე და ყოფილი ფასიანი გამგე მარიამ ჩხიკვაძე — ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 22 აგვისტოს გარდაიცვალა

**ჯვარცხმის კოხ-სამკითხველო**

რომლის დასაფლავება მოხდება ს. ინტაბუეთში კვანცხოულის ახალ სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობიანობის გონდოლა




ჩემბერლენი: სადამდის აიწევდა აქამდის ეს გონდოლა, ამ, „პარკისთვის“ რომ ხელი შემეშვა?!..
ინგლისელი და ინდოელი მუშები: ხელი უშვ ი მაგ „პარკს“, თორემ, აჰა, მოვიდა!..

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 28